საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-441

22/05/2019

ქ. თბილისი

შპს „ფილერის“ პორტლანდცემენტისა და მინერალური ფხვნილის წარმოებაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

მიმდინარე წლის 15 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ფილერის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2003 წლის 23 სექტემბერს გაცემული N78 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2003 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ფილერის“ პორტლანდცემენტისა და მინერალური ფხვნილის წარმოებაზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი ნებართვა (დასკვნა №78; 23.09.2003; ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი), თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისათვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ პროდუქცია აღარ იწარმოება და შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ფილერის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ფილერის“ პორტლანდცემენტისა და მინერალური ფხვნილის წარმოებაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №78; 23.09.2003; ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი) ;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ფილერს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფილერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი